ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N-55

2015 წლის 30 აპრილი

ნებართვის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ლენტეხი-ფაყის,ლუქართა-ლესემის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის, ფაყი-სკალდის მიმართულებით ტრანსპორტის ასაქცევი გზის, სოფ. ხელედში (ძუვარეში) საჭაპანო ხიდის და მისასვლელი გზების მოწყობის, აშარში იმინდარის საჭაპანო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე თეკალი ედიყის, ლახაშურის, ზაინაკარის, ლათქველიის, ღოშკმეშის, და ქალაქზაგარის საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ" ქვეპუნქტებისა და გამგებლის წინადადების (N-06-46, 23.04.2015წ.) შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

I. ფორსმაჟორული სიტუაციის გამო ნება დაერთოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლენტეხი-ფაყის, ლუქართა-ლესემის საავტომობილო გზების, ფაყი-სკალდის მიმართულებით ტრანსპორტის ასაქცევი გზის, სოფ. ხელეში (ძუღვარეში) საჭაპანო ხიდის და მისასვლელი გზების მოწყობის, აშარში იმინდარის საჭაპანო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევეთეკალი- ედიყის, ლახაშურის, ზაინაკარის, ლათქველიის, ღოშკმეშის და ქალაქზაგარის საავტომობილო გზების გაწმენდითი სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით.

II. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

III. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /ბ. ალანქსელიანი/